

მარტვილის სამონასტრო საგანძური, როგორც კოლექტიური მემკვიდრეობის  
ფენომენი

მარიამ სერგია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევებში ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია,  
ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ნინო ჭიჭინაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს მარტვილის მონასტრის საგანძურში შენახული ნივთების კოლექტიური მეხსიერების ჭრილში განხილვის პირველ მცდელობას. წამოდგენილი თემის ფარგლებში ჯვარ - ხატებზე არსებული წარწერების კვლევამ, საშუალება მოგვცა სარიტუალო ნივთები დაგვეჩინა როგორც კონკრეტული, რელიგიურ სივრცეში თავმოყრილი ჯგუფების მეხსიერების “ფორმები”, რომელიც მოიცავს როგორც თავად ნივთის საკრალურ მნიშვნელობას, ისე, ინფორმაციას შემწირველის მოღვაწეობის პერიოდისა თუ მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ნაშრომის მიზანია თითოეული ნივთი თანდართული წარწერის დახმარებით წარმოვადგინოთ როგორც კოლექტიური მეხსიერების გაზიარების ერთგვარი პროცესი; ვაჩვენოთ თუ როგორ ხდებოდა რელიგიური ჯგუფებში წინამორბედთა მიერ შეწირული ნივთების სხვადასხვა ფორმით კვლავ აქტუალიზაცია, იქნებოდა ეს კარედებისა და ჩასასვენებლების დამზადება თუ ძვირფასი თვლებით შემკობა. მარტვილის სამონასტრო სივრცეში თავმოყრილი რელიგიური ნივთები, გარდა იმისა რომ მონაწილეობას იღებდა საკრალური სივრცის შექმნაში, ამავდროულად მეხსიერების ერთგვარ „ხატებს“, „ფიგურებს“ წარმოადგენდა, რომელსაც მომავალი თაობები იღებდნენ, ინარჩუნებენ და მათი მეშვეობით წარსულს აღიქვამდნენ როგორც საკუთარი იდენტობის ნაწილს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** მარტვილი, კოლექტიური მეხსიერება, საგანძური, წარწერები.

## Abstract

This paper is the first attempt to discuss Martvili Monastery treasure items from the point of view of collective memory.

Studying of writings on the crosses and icons, within the framework of the theme, allows us to see the ritual items in the light of specific memory forms collected in particular religious groups, which includes the sacral meaning of the item as well as information about life and working period of contributor and ongoing events.

The aim of the paper is to present each item, with the help of enclosed writings on them, as a process of sharing collective memory as well as to show the process of actualization of items donated by predecessors to the religious groups in different ways, including manufacturing of triptych and ark for religious items and their adornment with precious stones. Religious items collected in the premises of Martvily Monastery not only took part in creation of the sacred space, but also were some kind of "icons", "figures" of the memory accepted and stored by the next generation, which in turn helped them to perceive the past as part of their identity.

Keywords: Martvili Monastery, Collective Memory, Treasure, Inscription